თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2999472

ნომერი: AR1463259

თარიღი : 12.12.2016

გაცემის თარიღი : 15.12.2016

გაცნობის თარიღი : 15.12.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 76 , ვაკის პარკი (ნაკვეთი 02/049) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნიკოლოზ არაგველი პ/ნ 01030012195
- თბილისი ნ.გოგოლის ქ. N 30

ორგანიზაცია:
- სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო კოდი: 205316399

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა

დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზ. N76-ში, გამარჯვების (ვაკის) პარკის ტერიტორიაზე, პირველი კლასის აბრის განთავსების საკითხს.

გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ.თბილისში, გამარჯვების პარკს (ვაკის პარკს) მინიჭებული აქვს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი. თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოები საჭიროებს უძრავ ძეგლზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების ნებართვას.
იმისათვის, რომ სამსახურმა განიხილოს უძრავ ძეგლზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების საკითხი, განაცხადი დარეგისტრირებული უნდა იქნეს შემდეგ ნომენკლატურაში:
ელექტრონული განაცხადები > მშენებლობის ნებართვა > კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები > მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები > ქმედებები: ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.